ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 27
24/01/2020

27-08-4-202001241747

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნისა და ჯგუფის წევრებზე ფუნქციების განაწილების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ე.ე ქვეპუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურების განხორციელების მიზნით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი და განაწილდეს ჯგუფის წევრებზე ფუნქციები შემდეგის მიხედვით:

N	სამუშაო ჯგუფის წევრის სახელი, გვარი და თანამდებობა	ფუნქციები
	ლევან ჩანქსელიანი - მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე	პროცესის საერთო ხელმძღვანელობა, ანგარიშგება მერთან
	გიორგი გაზდელიანი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე	საკრებულოს წევრებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება და საკრებულოს მაჟორიტარი წევრების ჩართვა პროგრამის განხორციელების პროცესში
	სოზარ ბენდელიანი - ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი	ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება და საერთო კრებების/კონსულტაციების ჩატარების ორგანიზება, მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის ჩათვლით
	ლევან ლიპარტელიანი- ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი	საპროექტო წინადადებების წარდგენის პროცესში სამსახურის მიერ მოქალაქეთა კონსულტირება, საჭიროებისას - მერიის მიერ საპროექტო წინადადებების შემუშავება, საპროექტო წინადადებების ნუსხის ფორმირება დასახლებების მიხედვით, შერჩეული საპროექტო წინადადებების განხილვა და მერისათვის წინადადებების მომზადება,

		საკრებულოში წარსადგენი პროექტების საბოლოო ნუსხის პროექტის მომზადება
	ანა გუგავა - საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი	მუნიციპალიტეტის ვებ-საიტზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება, მოსახლეობის ინფორმირება მუნიციპალიტეტის Facebook-გვერდის, ადგილობრივი ბეჭდური და ელექტრონული მედიის მეშვეობით, მერის წარმომადგენლების მხარდაჭერა საინფორმაციო კამპანიის დასახლებებში წარმართვისათვის
	ტახუ ჩანქსელიანი - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი	პროცესის წარმართვისათვის საჭირო თანხების მობილიზebis წინადადებების მომზადება, საპროექტო წინადადებების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანადაფინანსების საკითხების განხილვა
	ტუღუ აფაქიძე - იურიდიული სამსახურის უფროსი	მერის სამართლებრივი აქტების მომზადება, საერთო კრებების ჩატარების პროცესში სამართლებრივი კონსულტაციებით მხარდაჭერა

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბადრი ლიპარტელიანი

მერი